ოქმი:**ო02. 3726114001**

თარიღი:**24/04/2026**

ოქმი №7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

2026 წელი, 23 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14:00-14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ქ. კვაჭანტირაძე, ნ. გობრონიძე, ნ. ურუშაძე, ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. მორჩილაძე, ც. ცინცაძე, ე. გორდელაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.
დღის წესრიგი
1.ქალაქ ოზურგეთში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2.„ქალაქ ოზურგეთში ა. ნაკაშიძისა და ე. ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე „ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის“ განთავსების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი- განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსებას, შემდეგ გააცნო კონკრეტული ადგილები, სადაც განთავსდება საგზაო ნიშნები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი- განაცხადა, რომ იგი ეხება ქ. ოზურგეთში ა. ნაკაშიძისა

და ე. ნინოშვილის ქუჩების კვეთაში ე. ნინოშვილის ბიუსტის განთავსებას, მასალები გაიგზავნა შესაბამის სამთავრობო კომისიაში, რომელიც თანახმაა აღნიშნული ბიუსტის განთავსებაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 95,1%- თ, გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ სახე „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 81,6%-ით, გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი 81,0 %-ს შეადგენს. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 225,1 ათასი ლარი. არსებულ ნაშთებზე, კერძოდ 2026 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 16432,6 ათასი ლარი, მთლიანი ნაშთიდან 4364, 8 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდანაა, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ მართალია სოციალური მიმართულებით სარეზერვო ფონდის ხარჯვის მაჩვენებელი შემცირებულია, მგრამ კვლავ მაღალია. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი